საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

# ბირჟაზე ვაჭრობის შეფასება
## 2024 წლის აგვისტო

## ბირჟის მონაწილეები

ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე პირველი აუქციონი ჩატარდა 2024 წლის 1 ივლისს. პირველ აუქციონში მონაწილეობისათვის ბირჟაზე რეგისტრირებული იყო ოთხი მონაწილე. აგვისტოს თვის ბოლოს კი რეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობა 15-მდე გაიზარდა. რეგისტრირებული მონაწილეების სია, ბაზრის წესების შესაბამისად, გამოქვეყნებულია სენბის ვებგვერდზე.

აგვისტოს ბოლოს მდგომარეობით, ბირჟაზე რეგისტრირებულია:

- ელექტროენერგიის მწარმოებელი: 9
- სისტემის ოპერატორი: 3
- საბოლოო მომხმარებელი: 2
- მიმწოდებელი: 1

## ბირჟაზე ელექტროენერგიის ვაჭრობა

აგვისტოს თვეში ვაჭრობა შედგა 8 აგვისტოსა და 13 აგვისტოს მიწოდებისთვის. ნახაზზე №1 მოცემულია დღით ადრე ბაზარზე ყოველი საათისათვის ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა და ჩამოყალიბებული ფასების დინამიკა. ბირჟაზე ვაჭრობის შედეგების შესახებ დეტალური საჯარო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სენბის ვებგვერდზე.

აგვისტოს ჯამური ნავაჭრი რაოდენობა შეადგენს 804 მგვტ.სთ. ხოლო, საშუალო შეწონილი ფასი 133.51 ლარი/მგვტ.სთ იყო.

***ნახაზი №1 - დღით ადრე ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობის დინამიკა***



საბალანსო ელექტროენერგიის ფასმა აგვისტოს თვისთვის შეადგინა 154.7 ლარი/მგვტ.სთ (15.47 თეთრი/კვტ.სთ). თუ საბალანსო ელექტროენერგიის ფასს შევადარებთ, ელექტროენერგიის მყიდველებისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა ბირჟაზე შესყიდვა. თუ შეფასებისთვის შევადარებთ საბალანსო ელექტროენერგიის ფასსა და ბირჟაზე ჩამოყალიბებულ საშუალო შეწონილ ფასს, ელექტროენერგიის მყიდველებმა, ჯამურად 804 მგვტ.სთ ელექტროენერგიის შესყიდვით დაზოგეს დაახლოებით 17 000 ლარი.

## მოთხოვნა და მიწოდება დღით ადრე ბაზარზე

მთელი აგვისტოს განმავლობაში ბირჟაზე მოთხოვნა მკვეთრად მეტი იყო მიწოდებაზე. 17 აგვისტოდან კი მიწოდების განაცხადები აღარ განთავსებულა. ნახაზზე №2 მოცემულია დღეების მიხედვით აგრეგირებული ჯამური მოთხოვნა და მიწოდება. როგორც ნახაზიდან ჩანს, ვაჭრობა შედგა მხოლოდ ორი მიწოდების დღისთვის - 8 და 13 აგვისტოს.

საათობრივ ჭრილში, ყველაზე დიდი აგრეგირებული მოთხოვნა დაფიქსირდა 15 აგვისტოს (აგრეგირებულმა მოთხოვნამ 3041.1 მგვტ.სთ შეადგინა) , რაც მთლიანი მოთხოვნის 7.2%-ს შეადგენდა.

***ნახაზი №2 - მოთხოვნა და მიწოდება აგვისტოში***




## დღით ადრე ბაზარზე განაცხადის ფასები

ნახაზზე №3 მოცემულია მყიდველისა და გამყიდველის ფასების დინამიკა. მთელი თვის განმავლობაში ელექტროენერგიის მყიდველების ფასის მიმღებლობა არ შეცვლილა. მყიდველისა და გამყიდველის ფასის თანხვედრა მოხდა მხოლოდ ორი მიწოდების დღისთვის.

განაცხადის ფასების სტატიკურობის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად შეიძლება განვიხილოთ საბალანსო ელექტროენერგიის ფასის მიმართ უცვლელი მოლოდინი.

***ნახაზი №3 - განაცხადის ფასების დინამიკა***

